ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13213371**
თარიღი:**03/12/2021**

**ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების პირველი სხდომების მოწვევის შესახებ'' საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის №372/2021 განკარგულების საფუძველზე, შემდგარი ახალარჩეული ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, **გადაწყდა:**

1. შეიქმნას ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისია სამი წევრის შემადგენლობით.
2. დამტკიცდეს ახალარჩეული ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შემდეგი შემადგენლობა:
   ა) მამისა დიაკონოვი - კომისიის თავმჯდომარე,
   ბ) მალვინა ბურძენიძე - მდივანი,
   გ) ნათელა ლურსმანაშვილი - წევრი.
3. დაევალოს ხმის დამთვლელ დროებით კომისიას უხელმძღვანელოს საკრებულოს სხდომისათვის ბიულეტენების მომზადების, დარიგებისა და კენჭისყრის პროცესს, თვალყური ადევნოს და დაითვალოს ხმები ღია და ფარული კენჭისყრის დროს.
4. კომისია საქმიანობას წყვეტს საკრებულოს შესაბამისი ფუნქციის მქონე მუდმივმოქმედი კომისიის არჩევისთანავე.
5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ზოია ბალიაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სხდომის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი